

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი

15.04.2013

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა და,

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს შორის

სამართლის აკადემიური პროგრამების ეფექტური განხორციელების და სამართლის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის, სასწავლო-მეთოდური გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და აკადემიური ურთიერთგაცვლის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე, მხარეები, აღჭურვილნი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირთა მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით, თანხმდებიან, რომ მათი ურთიერთთანამშრომლობის საგანი იქნება:

- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო-მეთოდური და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- აკადემიური ურთიერთგაცვლა, რაც ერთი მხრივ, გულისხმობს განათლების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის გაცვლას, ასევე სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების რეალიზაციას;
- ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, ოლიმპიადებისა და ტრენინგების ორგანიზება;
- განათლების ხარისხის განვითარების გაძლიერების მიზნით ერთობლივი წინადადებების შემუშავება და რეალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კლინიკური სწავლების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა მიერ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

მხარეები, ზემოაღნიშნული ამოცანების მისაღწევად და დაგეგმილი თანამშრომლობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში გააფორმონ ხელშეკრულებები და გამოყონ შესაბამისი დაფინანსება და რესურსები.

ეს მემორანდუმი დადებულია 4 წლის ვადით და ექვემდებარება ავტომატურად იმავე ვადით გაგრძელებას, თუ ერთ-ერთმა მხარემ ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადა უარი მის ავტომატურ გაგრძელებაზე.

მემორანდუმი დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა
სკოლის დეკანი, პროფესორი ზ. რუხაძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დეკანი

დოქტორი ვ. ყურაშვილი

